



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000050076635319

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 39

02 / ოქტომბერი / 2019 წ.

## განკარგულება

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 2 - ერთეული მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით განკარგვისას საიჯარო ქირის სანჯისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანჯისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანჯისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა:

- დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ კასრისწყალში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 2 - ერთეული მიწის ნაკვეთის, (საკადასტრო კოდი: 50.30.31.090; 50.30.31.086; ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის სანჯისი საფასური, (სანჯისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ი) შემდეგი ოდენობით:
  - სახნავი - ფართობით 1000969,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-50.30.31.090 -31030.0 ლარი
  - სახნავი - ფართობით 210087,0კვ.მ, საკადასტრო კოდი-50.30.31.086 – 6828.0 ლარი
  - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 2 (ორი) წელი.
- განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101).

